# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 229 ჰარასკევი, 16 ოქტომბერი 1909 წ. № 229

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხზვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწეხებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ განტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ხ. ხიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გ: მოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


## „დროების" კანტორისაგან.

[...]ლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი [...]ღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზა[...]ება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხე[...]ის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ [...]რთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.


[წა]რმოდგენა № 8. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.

**კვირას, 18 ოქტომბერს, 1909 წელს**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-6 **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და ბ-ნ ს. სვიმონიძის მონაწილეობით**

## ორი ობოლი

მელოდ. 5 მოქმედებად თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგა[რ]ეთელი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელი[ძე], ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, [...] მატარამე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 [კ.]-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**საღამოს გამგე კნ. ელისაბედ ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

მზადდება წარმოსად. „სიძე სიმამრი", „დედის ერთა", „კოჩრიანი ტოოლა" და „იმედის დალუპვა".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭარნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან **წილს გადასდებენ**

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.

[ქ]ართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 4.

**შაბათს, 17 ოქტომბერს 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## დამარცხებულნი

პიესა 5 მოქმ. ირეთელისა.

[მო]ნაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ქართველიშვილი, კავთელი; ბ-ნნი სალა[...]ა, ჯიბლაძე, ქიზიყელი, გელიკურაშვილი, გომელაური, ბაღაშვილი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი, რევაზოვი, გოჩიტაშვილი და სხვ.

**[და]საწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების და[ცვა]ში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვა[ნთ], და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინაამდეგ შემთხვევაში [თეა]ტრიდან გაყვანილი იქნება.

დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

(2—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**[ბა]ლარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. [ყო]ველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**[ბ]ამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-[...]; კვ. გარდა 11-12 საათ.

**[მ]დევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., [...], ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**[ბ]ურკთ გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და [...]ას 11—12 ს.

**[ბო]რშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე [...]ს გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**[თ]ბილაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და [...] 10—12 ს.

**[ხ]ანხვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., [შ]აბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ ,, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6.—13)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—38)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—კვ.—84)

**ექიმა** ქუთაისში. **ვოლოხმა** ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—5)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—273)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—24)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—33)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—25)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—6.—91)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. ქაღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის სუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—83)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—30)

**ექიმი**-სპეციალისტი ქ. ქუთაისში **ჩარექოვი** იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—6)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიშრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—20)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. სავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—30)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## ქართული თეატრი

შაბათს, 17 ოქტომბერს, 1909 წ. „ფარსისა და კომედიის დასის" მიერ წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე

✦ ფარსთა მეფე ✦

## ქალბატონი 23 №-სა

(ДАМА ИЗЪ 23 N)

ფარსი 3 მოქ. თარგ. სამუროვისა.

**მონაწილეობენ:** ვ. ნ. მურატი, პ. ს. ნედანოვი, მ. ი. ნიკელცკი, ლ. პ. ვორონინი, ა. ვ. ივანოვი, პ. ა. არაქსიანი, ი. ი. გონეცკი, ი. ნ. გულიშამბაროვი, ი. ლ. ლევიჩი, ვ. ა. ლონინი, ნ. ი. ტომიცკი.

ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი **პ. ა. არაქსიანი.**

რეჟ. თანაშემწე **ვ. ა. ლონინი.**

## სახალხო სახლი

**ძმ. ზუბალაშვილებისა**

კვირას, 18 ოქტომბერს, დილის სწორედ 11 საათზე,

**ა. ი. მალხაზიანი**

**წაიკითხავს ლექციას**

## გ. დ' ანუნციოსა და კ. ტეტმაიერის

**შესახებ.**

ბილეთები გაიყიდება სახალხო სახლის კასაში 50 კ.-დან 5 კ.-დე. (უ. 4—2)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ

„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეო მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

10 ბოთლს ზევით ვგზავნებთ ჩვენის ხარჯით თბილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется вашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

(100—6.—6)

**იყიდება ყველგან ახალი**

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე".** **წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35 კაპ.—უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—6.—30)


## გარდამავალი ხანა

2. *)

როგორც ვსთქვი წინა წერილში, საზოგადოებრივობის წინაამდეგ მიმართულ ბრძოლის სურვილით არის გამსჭვალული ამ რამდენიმე თვის წინად გამოსული ცნობილი კრებული „Вѣхи" (Сборникъ статей о русской интеллигенціи Н. А. Бердяева, С. Н. Булгакова, М. О. Гершензона, А. С. Изгоева, Б. А. Кистяковскаго, П. Струве, С. Л. Франка). კრებულის წინასიტყვაობაში გერშენზონი აუწყებს მკითხველის საყურადღებოდ, რომ ყველა იმ მწერალს, რომელთაც აღნიშნულ გამოცემაში მიიღეს მონაწილეობა, ის ერთი აზრი აკავშირებთ, რომ მათის შეხედულობით პიროვნების სულიერ ცხოვრებას უპირატესობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრების გარეგნულ ფორმებთან შედარებით. „პიროვნების შინაგანი სიცოცხლე არის ერთად-ერთი შემოქმედებითი ძალა ადამიანის არსებობისა. იგია ერთად-ერთი მკვიდრი საფუძველი ყოველგვარ საზოგადოებრივობისა და არა პოლიტიკური დაწესებულებანიო". იდეოლოგია რუსის ინტელიგენციისა წინაამდეგ საფუძველს ემყარებაო, ე. ი. მას სწამს საზოგადოებრივ ფორმათა უპირატესობა. ამის წინაამდეგნი არიან კრებულის ავტორები. ეს აზრი არ, ეპუება ადამიანის სულის ბუნებას და „იგი პრაქტიკულად უნაყოფოც არის, რადგან ხელს უშლის იმ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ემსახურებოდა ინტელიგენცია,—ე. ი. ხალხის განთავისუფლებასო". როგორც ხედავთ, საქმე ისეა დაყენებული, თითქოს კრებულის ავტორებს, ინტელიგენციასთან ერთად, აფიქრებთ ხალხის განთავისუფლების საქმე და თითქოს ინტელიგენციას მარტო იმას უსაყვედურებენ, მატერიალისტი კი არ უნდა იყო, არამედ იდეალისტი და გახსოვდეს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა იდეალიზმის გამარჯვებაზეა დამოკიდებულიო. ნამდვილად კი კრებულის ავტორებს (დიდ უმრავლესობას მაინც) თვით პრინციპი საზოგადოებრივობისა აქვთ ათვალწუნებული და იდეალიზმისა და მატერიალიზმის შორის არსებული ფილოსოფიური დავა კი არ აინტერესებთ, არამედ ქადაგება მისტიურ აზრებისა, რომელნიც ძირს უთხრიან იმავ საზოგადოებრივობას.

ამ მიზნის მისაღწევად კრებულის ავტორებმა საბრალმდებლო ოქმი შეადგინეს რუსის ინტელიგენციის წინაამდეგ. უარ-ჰყვეს ამ ინტელიგენციის მნიშვნელობა და დამსახურება ხალხის წინაშე, შავის ფერადებით დაახასიათეს მისი ზნეობრივი ღირსება, დააბრალეს ყოველივე ცოდვა და რევოლიუციის წაგების საქმეც მას აჰკიდეს ზურგზე და თითქოს რევოლიუციის გამარჯვებით მართლა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, ინტელიგენციას და მხოლოდ ინტელიგენციას სთხოვენ პასუხს იმ უბედურების, უწესოების, არეულობის, ექსპროპრიაციათა, მკვლელობათა და სიკვდილით დასჯის შემთხვევათა დამკვიდრების შესახებ, რაიც რუსეთში დღეს ჩვეულებრივ მოვლენად გაიდაქცა. ამ ორიოდე წლის წინად ამავ ბანაკის წრეებიდან გაკიცხვის ხმა მიმართული იყო ხალხის წინაამდეგ. გაკიცხვა უფრო დაცინვას მიაგავდა. ხალხი დამარცხდა და ვერც გაიმარჯვებდა, რადგან ხალხი „ფეფიოლა" (фефела), ჩვენებურად, ნაცარქექია არისო. და აბა „ფეფიოლას" როდის რა გაუკეთებია კარგი, რომ ეხლა საგმირო რამ გაეკეთებინაო. და სანამ ხალხი „ფეფიოლად" დარჩება, საქმის გამობრუნება შეუძლებელიაო. ახლა „ფეფიოლას" მარცხი მიივიწყეს და რაც რამ ქვეყანაზე ლაფი და სიბინძურე იყო, ინტელიგენციას თავზე გადაასხეს.

კრებულის ავტორებს ნათლად განსაზღვრული არა აქვთ, ვინა ჰყავთ სახეში და ვის ჰგულისხმობენ, როდესაც ინტელიგენციის შესახებ ბჭობენ. რუსეთის განათლებული საზოგადოება არის იგი, თუ რადიკალური მიმართულების ახალგაზდობა—ეს გამოურკვეველი რჩება. თუ მთელ განათლებულ საზოგადოებას ჰგულისხმობენ, სრულიად უაზრო ხდება კრებულის კრიტიკა, ხოლო თუ რადიკალურ ახალგაზდობას, უკიდურეს პარტიებში დარაზმულს, იგი კრიტიკა გადაჭარბებული და უსამართლოა, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ ახალგაზდობის და პარტიების ზოგიერთი სუსტი მხარე სამართლიან ნაკვთებით არის აღბეჭდილი ხსენებულ კრებულში. მაგრამ, როგორცა ვსთქვი, კრებულის ძარღვი და დედა-აზრი აქ არ არის. იგი საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ბრძოლაშია.

მოინანიეთ ცოდვები, ამბობს ბულგაკოვი. „ახალი სული უნდა იშვას, ახალი ადამიანი წარმოსდგეს, რომელიც გაიზრდება, განვითარდება და გამაგრდება გმირობით. ლაპარაკი პოლიტიკურ და პარტიულ პროგრამების გამოცვლის შესახებ არა მაქვს (ამის გარეშე ინტელიგენციას განახლება ვერ წარმოუდგენია), პროგრამებს სრულიადაც არ ვგულისხმობ, არამედ იმას, რაც მეტია პროგრამაზე—ადამიანის პიროვნებას. მოქმედებაზე არ ვლაპარაკობ, არამედ მომქმედზეო". ასე რომ პოლიტიკურ ბრძოლის ხანაში ბულგაკოვს პიროვნების განთავისუფლება ჰსურს პოლიტიკურ ბრძოლის მოვალეობისაგან. დეე, ითარეშოს ძალ-მომრეობამ, პიროვნებას ამ ქვეყნად სხვა უფრო დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. გამოიგონეს საზოგადოებრივი სამსახური! ხალხი და ხალხი, თითქოს სხვა რამ საზრუნავი არა აქვს რა ადამიანის პიროვნებას! „რუსის ინტელიგენტი, ამბობს გერშენზონი, ეს თავდაპირველად იმგვარი ადამიანია, რომელიც სიყრმიდანვე თავის პიროვნების გარეშე სცხოვრობს... ყურადღების ღირსად მას მხოლოდ ის მიაჩნია, რაც მის გარეშეა—ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო". განა ყოველივე ეს შესაწყნარებელია? „ერთი მუჭა რევოლიუციონერი კარ და კარ დადიოდა და ეუბნებოდა ყველას: ქუ-

*) იხ. „დროება" N 226.


## ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

**ამ თემაზე:**

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—181)

ჩაში, შინ ჯდომა სირცხვილია! და ყველანი გამოვიდნენ მოედანზე— ბრმა, კოჭლი, უხელო. სახლში არავინ დარჩა. ნახევარი საუკუნეა ირევიან მოედანზე, ღრიალებენ და ილანძღებიან. სახლში—სიბინძურე, სიღარიბე და უწესოება. მაგრამ პეტრონს ეგ არ ადარდებს. ის ხალხშია, ხალხს შველის. ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე სახლის მძიმე სამუშაოო". ინტელიგენციის წარსული და აწმყო სამარცხვინო ბოძზე გაუკრავს გერშენზონს. გულუბრყვილოთ ეგონათ, რომ სწორედ შინაურ საქმეების მოსაგვარებლად და გასაუმჯობესებლად ირჯებიან, რომ შინაური სიღარიბე და სიბინძურე ავალებდა ადამიანს გარედ გასულიყო, მის მგზავსებთან შეერთებულიყო და გაერთიანებულის ძალღონით მოეპოვებინა ცხოვრების შეღავათიანი პირობები. და ყოველივე ეს თურმე სათაკილო საქმე ყოფილა. ღირსება ადამიანისა თურმე იმაში კი არ იყო, რომ იგი არ ზოგავდა არც პირად ბედნიერებას, არც ოჯახს საზოგადოებრივ სამსახურისათვის, არამედ იმაში, რომ შინ მჯდარიყო და ჟამნი და დავითნი ეკითხნა. გერშენზონი თვითონაც გრძნობს, რომ სიზღვარს გადავიდა და ცდილობს დაანახოს მკითხველს, რომ არც ის არის წინაამდეგი რევოლიუციისა, ხოლო ეს რევოლიუცია ინტელიგენტს არას მიანიჭებდა, თუნდაც რომ გამარჯვება მას დარჩენოდაო. „ხალხს რევოლუცია მისცემდა ყოველივეს, რაც საღ ცხოვრებისათვის არის საჭირო—თვითგამორკვევის თავისუფლებას, და უფლებრივ უზრუნველყოფას, ამბობს იგი: მაგრამ ჩვენთვის, ინტელიგენტებისთვის, რისი მიცემა შეეძლო რევოლუციას. განთავისუფლება ხომ ბორკილების ახსნაა, ხოლო ბორკილებისაგან განთავისუფლება იმ ადამიანისა, რომელიც შინაგან სნეულებით არის დასნეულებული, ჯამრთელობის მოპოებას არ მოასწავებს. ჩვენთვის თავისუფლებას მხოლოდ ის აზრი ექნებოდა, რომ იგი მოგვანიჭებდა უფრო შეღავათიან პირობებს განკურნებისათვისო". აგაშენა ღმერთმა! რა ცუდია, იმისთანა პირობებში ჩავდგე, რომ თან-და-თან განვიკურნო შინაგან სნეულებისაგან? და ამასთან ის აზრიც, რომ ხალხსაც ეშველა— თვითგამორკვევის უფლებაც აქვს, უფლებრივადაც უზრუნველყოფილია, ეს ხომ უკვე ბევრი რამეა! ამას თითქოს გერშენზონი აღიარებს. მაგრამ ეს სიცრუვეა ნამდვილად შეღავათიან პირობების მოპოვება ინტელიგენტის განკურნებისათვის გერშენზონს სრულიადაც არ ანაღვლებს, არც ხალხის ბედი აწუხებს, მისი გული და ყური სხვაგანაა. „თუ დღემდეს, საზოგადოებრივ ჰიპნოზის ზედგავლენით, ადამიანი პოლიტიკურ პანაცეის იმედით იწყნარებდა თავის სიცოცხლეს, ამბობს იგი ეხლა კი, როდესაც იმედი გაგვიცრუვდა, ლოდინი შეუძლებელი გახდა. მართალია, პუბლიცისტები ეუბნებოდნენ გაქცეულებს—მოიცათ, ეს მხოლოდ დროებითია, განკურნება აუცილებლივ მოხდება, ინტელიგენცია, როგორც დამფრთხალი ფარა, აქეთ-იქით გაიფანტა. პირად დაავადმყოფობის გრძნობა ისეთი მწვავი იყო, რომ აზრს ბინდი გადაეფარა... საზოგადოებრივობის ჰიპნოზი უეცრად განჰქრა და პიროვნება გახდა თავისუფალიო". თუ კი მაგრეა, თუ კი საზოგადოებრივი ჰიპნოზი ყოფილა პიროვნების შემბოჭველი, მაშ რაღას ედებით ლობეს-ყურეს და „განკურნების შეღავათიან პირობებზე" ლაპარაკობთ. განკურნებისათვის არც შეღავათიანი პირობები ყოფილა საჭირო, არც რევოლიუცია, მხოლოდ საზოგადოებრივობის ჰიპნოზისაგან განთავისუფლება, პიროვნების მტერი საზოგადოებრივობაა. აქ არის თქვენთვის თავი და თავი სამტრევი საგანი.

კრებულის ავტორების აზრით, რადიკალურ ინტელიგენციის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ამ ინტელიგენციის ათეიზმი, ანტისახელმწიფოებრივობა და მაქსიმალიზმი. ამ სამმა ცოდვამ დაღუპა რევოლიუციაო. მაგრამ მართლაც რომ ამ მცნებებით შეიძლებოდეს დახასიათება ინტელიგენციის სულიერ ვითარებისა, საეჭვოა, რომ რევოლიუციის დამარცხება ამის გამო ყოფილიყო გამოწვეული. „თეისტური რევოლუციები" ისტორიაში უცნობი რამეა[1]). რევოლიუცია შეიძლება ნეიტრალური იყოს (რელიგიოზურ სფერას არ ეხებოდეს), ხოლო რელიგიით გამაგრებულ რევოლუციონურ მოძრაობას არავითარი გამარჯვების უპირატესობა არ ენიჭება, იმ უბრალო მოსაზრების ძალით არ ენიჭება, რომ სოციალ-პოლიტიკურ რევოლუციას გარეგნულ წყობილებასთან დაკავშირებულ აზრებთან და გრძნობებთან აქვს საქმე და არა ადამიანის შინაგან სიცოცხლესთან, თუმცა ეს უკანასკნელიც განიცდის ამა თუ იმ წყობილების და პირობების დამყარების გავლენას. 9 იანვრის ამბავი, როდესაც ტყვიამ არც ხატი დაინდო, არც ჯვარი, უტყუარ ნათელს ჰფენს ამ საგანს. უმეტეს შემთხვევაში კი რევოლუციები ათეისტური ხასიათისანი იყვნენ. ამისი ბრალი ისტორიულ ეკლესიებს უნდა დაედოთ, რომელნიც რელიგიოზურ კითხვებს უკავშირებდნენ ხოლმე პოლიტიკას და ისიც დახავსებულს, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა რევოლუცია. ანტისახელმწიფოებრივობაში გამტყუნება რუსის ინტელიგენციისა კი სრულიად უსამართლო ბრალდებაა. მართალია, გამოჩენილი ანარქისტები თვით ევროპაშიაც რუსები—ბაკუნინი და კროპოტკინი—არიან. მართალია, რუსეთშიაც გაჩნდნენ ანარქისტები. მაგრამ ეს ერთი მუჭა ხალხია. უმრავლესობა კი, სოციალისტურ პარტიებში გაფანტული, ანარქისტულ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდა. ბავშვმაც იცის, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ბრძოლა სახელმწიფოს გაუქმების წინააღმდეგ ბრძოლა არ არის. და რადიკალიზმი რუსის ინტელიგენციისა ამაზე შორს არ მიდიოდა. ასი წლის წინად საფრანგეთის რევოლიუციონერებს, დამფუძნებელ კრების მოწვევის ინიციატორებს, ძველი რეჟიმის მომხრენი სოციალისტებს ეძახდნენ, თუმცა ისინი სოციალისტები არ იყვნენ. ახლა რუსის რევოლიუციონერებს, რომელთაც სახელმწიფო რეაქციონერებზე მეტად სწამთ, რადგან მიაჩნიათ იგი იარაღად სოციალურ გარდაქმნისა, ამ რევოლიუციონერებს ანარქისტებს უწოდებენ. პეტრე სტრუვე ამბობს: „ინტელიგენცია უარჰყოფს სახელმწიფოს და მასთან წინააღმდეგ ბრძოლაში უარ-ჰყოფს სახელმწიფოს მისტიკას არა რომელიმე სხვა მისტიურ ან რელიგიურ ძალის აღიარების გულისთვის, არამედ რაციონალიზმის და ემპირიზმის დასაგვირგვინებლადაო". ეს კი მართალია. ინტელიგენციას სახელმწიფოს მისტიკა არა სწამს და მისი უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ მას საქმე ჰქონდა არა მისტიურ სახელმწიფოსთან, არამედ რუსეთის ფრიად კონკრეტულ თვითმპყრობელობასთან. რაც შეეხება მაქსიმალიზმს, აქაც გაზომვაა საჭირო. მაქსიმალიზმი ციხე-საპყრობილეების, შეხუთულ ჰაერის და ბნელ სარდაფების ატმოსფერაში აღზრდილი შვილია. საცა მოურიდებლად, საშუალების გაუკითხავად ეპყრობიან ადამიანის პიროვნებას, იქ დაჩაგრულში ამგვარივე მოქმედების სურვილი იბადება. მაქსიმალიზმს, რომელიც დაიბადა ხალხის ძირში, წინ უძღოდა მმართველ წრეების მაქსიმალიზმი, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში განუკითხავად მძვინვარებდა რუსეთში. დღევანდელ არა მკითხმსაჯულებს და გამკიცხველებს ყოველივე ეს ავიწყდებათ.

[1]) ლაპარაკია პოლიტიკო-სოციალურ რევოლუციებზე. ფრანგულმა დეიზმა ვერ გაანელა დიდ რევოლუციის ანტირელიგიოზური ხასიათი. ა.

ბევრ რამე სხვაშიაც სდებენ ბრალს ინტელიგენციას კრებულის ავტორნი. მაგრამ, როგორც უკვე ზევით აღვნიშნე, მთავარი დანაშაულობა ინტელიგენციისა—ამაში თითქმის ყველა ერთის აზრისაა— ამ ინტელიგენციის კაცთმოყვარეობაა (человѣколюбіе), ალტრუიზმი, ხალხის სიყვარული. „რუსის ინტელიგენციის სარწმუნოების სიმბოლო, ამბობს ს. ფრანკი, არის ხალხის სიკეთე, „უმრავლესობის" მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო". მერე რა არის აქ საძრახავი, იკითხავს მკითხველი. ისა, რომ ხალხის სიკეთეს და ხალხისადმი სიყვარულს ობიექტიური ღირებულება არა აქვს. საქმე იმაშია, ამბობს ფრანკი, რომ ადამიანი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს ან თავის მისწრაფებით ობიექტიურ ღირებულებათადმი, ან კიდევ სუბიექტიურის მოტივებით. ობიექტიურ ღირებულებად ჩაითვლება, მაგალითად, თეორიული სამეცნიერო ჭეშმარიტება, მხატრული მშვენება, რელიგიური რწმენის ობიექტი, სახელმწიფოს ძლიერება ან ეროვნული ღირსება და სხვა. სუბიექტიური ღირებულება—თავის ან სხვის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებააო". როგორც ხედავთ, ამ ფილოსოფიით „ხალხის სიკეთე" სუბიექტურ ღირებულებად არის აღიარებული, თუმცა სრულიად გაუგებარია, რატომ ენიჭება ობიექტურ ღირებულების ფასი „სახელმწიფოს ძლიერებას" და „ეროვნულ ღირსებას", ხალხის კეთილ-დღეობა კი, ურომლისოდაც არც ძლიერება, არც ღირსება არ არის შესაძლებელი, დაქვეითებულია სუბიექტიურ მოთხოვნილებათა საფეხურამდე? ს. ფრანკი გალაშქრებულია კაცთ-მოყვარეობის წინააღმდეგ, ამიტომ ხალხის სიკეთის (благо народа) წინააღმდეგაც, რადგან კაცთ-მოყვარეობა შლის ადამიანის გულიდან ღმერთის მოყვარეობასაო. ფრანკს ეშინიან იმ ნიჰილისტურ მიდრეკილებისა (მისი სიტყვაა), რომელიც აბსოლუტურ და სამუდამო თვისებას ანიჭებს „ადამიანურს, ძლიერ ადამიანურს". ამ ადამიანურს უბრუნებს იგი ზურგს ფრანკი და სხვებთან ერთად იცქირება უსაზღვროებაში. საკვირველი ამბავი კი არის! რელიგიური მოძრაობა, ქრისტიანობა ყოველთვის თავს მით იწონებდა, რომ იგი დაფუძნებულია მკვიდრ ეთიკურ საფუძველზე და რომ თუმცა იგი სასუფეველისაკენ იყურება, მისი ფუძე მაინც მიწაა და ადამიანთა სიცოცხლე, ადამიანთა სიკეთე, რომელიც საიქოშიაც პატივ-სადებია. არის ათეისტიური რელიგიური სისტემები, როგორიც ბუდიზმია, მაგალითად. მაგრამ ეთიკას და მორალს (თუმცა დამახინჯებულს) არც ერთი რელიგია არ უარ-ჰყოფს. მხოლოდ რუსეთში გაჩნდნენ ამისთანა ფილოსოფოსები, რომელნიც თავიანთ ფილოსოფიას და რელიგიოზობას ფსიხოპათოლოგიურ საფუძველზე ამყარებენ. ადამიანის გული მოღლილია საზოგადოებრივობით, ისიც განსაკუთრებულ პირობების წყალობით, და, პათოლოგიურ მდგომარეობაში მყოფს დასასვენებლად ლაჟვარდ ცისაკენ მიუპყრია თვალები. ძლიერ პატიოსანი. მეტსაც ვიტყვი, უსაზღვროებისადმი ინტერესი ღრმად არის ჩანერგილი ადამიანის სულიერ ბუნებაში და ნორმალურ პირობებშიაც ჩვენი გონება მოწადინებულია გაიგოს ის, რაც საზღვარ-დადებულ სამყაროს იქით იმყოფება. ამის წინააღმდეგი არა გვეთქმის-რა. მაგრამ, როდესაც პათოლოგიური სულიერი განწყობილება (მოღლილობა) ნორმად ითვლება და მიწიერ ცხოვრების სიდუხჭირეს ყურადღებას აღარავინ აქცევს, ხოლო ცისაკენ გაშტერებულ თვალების მიპყრობა კი ადამიანის ღირსების ამაღლების საქმედ ხდება, ნურას უკაცრავად, თუ რომ ამგვარ რელიგიურ მქადაგებლებისა არა ვიწამოთ-რა.

მაშინ როდესაც ს. ფრანკი რუსის ინტელიგენციის კაცთ-მოყვარეობას ჰგმობს ღმერთ-მოყვარეობის გულისათვის, ბერდიაევი ამასვე სჩადის ფილოსოფიურ ჭეშმარიტების გულისათვის. „სიყვარულმა გამათანასწორებელ სამართლიანობისადმი, საზოგადოებრივ კეთილ-დღეობისადმი და ხალხის სიკეთისადმი, —ამბობს იგი, შეხუთა სიყვარული ჭეშმარიტებისადმი, გააქარწყლა ინტერესი ჭეშმარიტებისადმიო". ახალი დანაშაულობა! რევოლუციონური ახალგაზრდობა, რომელსაც ფიზიკური საშუალებაც კი არა ჰქონდა მეცნიერება საფუძვლიანად შეესწავლა, რადგან მისი ძალ-ღონე და ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელი ახალგაზრდობა მსხვერპლად ეწირებოდა „ვეშაპს", რომელთანაც იბრძოდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა, ბრძოლის მეორე დღეს, როდესაც მის გულს და სხეულს ჯერ კიდევ წვეთწვეთად სისხლი სდიოდა, დამნაშავედ გამოვიდა იმაშიაც, რომ არ კითხულობდა „მეტაფიზიკას", რადგან მისგან პრაქტიკულ სარგებლობას არა ხედავდა. უცნაურ და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ყოველივე ეს! თუ მისტიკოსებს ფილოსოფიური კამათი სურთ მატერიალიზმის და პოზიტივიზმის მიმდევრებთან, ახალგაზრდობა რიღასთვის აიჩემეს ამ საქმისათვის! მატერიალიზმს, პოზიტივიზმს და კრიტიციზმს მსოფლიო ფილოსოფიაში ბევრი ჰყავს დამცველი, განსაკუთრებით კრიტიციზმს. რატომ ამათთან არ გაბაეს ლაპარაკი ჩვენი ფილოსოფოსები? განა სასაცილო არ იქნებოდა, რომ ფულიე ან ვუნდტი „შრომის ბირჟის" ტრიბუნაზე გამოსულიყვნენ და საყვედურით მიემართნათ მუშებისათვის, რატომ არ შეგისწავლიათ თეორია „იდეა ძალისა", და „ვოლუნტარიზმისაო". რა თქმა უნდა იქნებოდა, და არც იკისრებდნენ ამგვარ საქმეს ხსენებული ფილოსოფოსნი. რუსეთში კი, სადაც ფილოსოფოსების ადგილი მქადაგებლებს უჭირავთ, შესაწყნარებელი ხდება ამგვარი უცნაური მოვლენა. მაგრამ საქმეც ის არის რომ აქ **ფილოსოფიური კამათი** კი არ არის, არამედ **ქადაგება**. და ქადაგება კი მართლაც ყველგან შეიძლება, საცა ორი თუ სამი კაცი იყრის თავს. მქადაგებელთ ერთი რამე ავიწყდებათ, სახელდობრ ის რომ, როდესაც განსაზღრულ მსოფლ მხედველობის წინააღმდეგ გამოდიან, საჭიროა საბუთი, თეორიული არგუმენტი, რაციონალური საფუძველი. ქადაგება გონებას არ არწმუნებს, მხოლოდ გრძნობას ახურებს. ილია ჭავჭავაძე ერთ თავის კრიტიკულ წერილში ამბობს: „ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნე, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ. ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავო". მქადაგებლები სწორედ ასე იქცევიან. და როცა მათ ეუბნებიან, მზად ვარ საგნის **დანახვაზე** ხელნი ავიღო, ოღონდ ეს საგანი **გასაგები** იყოს ჩემთვის და რწმენაც, თუ საჭიროა მაინც და მაინც იგი, ამ გაგებაზე და **შემეცნებაზე** დავამყარო, უპასუხებენ: შესდექ, ამაყო ადამიანო, და თავდაპირველად კისერი მოუგრიხე შენს სიამაყეს! შენს თავზე გაიმარჯვებ, შენს თავს დაამშვიდებ და გახდები თავისუფალიო". (დოსტოევსკის სიტყვები). არგუმენტის ნაცვლად, მოწოდებაა.

მართალია, დღეს მსოფლიო ფილოსოფიაში გაცხარებული მუშაობაა. მისტიკოს - ფილოსოფოსობის ცდა მიმართულია განსაკუთრებით კანტის ფილოსოფიის წინააღმდეგ. მისი შემეცნების თეორია ათვალწუნებული. ინსტინქტის და ინტუიციის ბუნების კვლევა-ძიებაში არიან. ამ ირაციონალურ ელემენტებზე უნდათ შემეცნების დამყარება (ბერგსონი). ხოლო მოახერხებენ თუ არა რაციონალურ ცოდნის გამოყვანას არა რაციონალურ ელემენტებისაგან, ფრიად საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში გადაჭრილი კითხვა არ არის. და თუ ამ ხასიათის ფილოსოფიას ჯერ ხნობით იდეიური მოქალაქობრივობის უფლება ვერ მოუპოვებია, „ქადაგება" ამ სასწაულს ვერ მოახდენს. მაგრამ საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ბრძოლაში „ქადაგებაც" კარგი საშუალება ყოფილა...

არჩილ ჯორჯაძე.

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტი მიწათ-მოწყობის შესახებ.**

მეორე სხდომაზე, 14 ოქტომბერს სათათბირო შეუდგა ხსენებულ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. საინტერესო არა მომხდარა-რა და არც საყურადღებო უთქვამთ რამე. მიიღეს მთავრობის კანონ-პროექტის ექვსი მუხლი იმ შესწორებებით, რომელიც სათათბიროს სადგილ-მამულო კომისიამ შეიტანა. კადეტებისა და სხვა მემარცხენეთა შესწორებანი და ფორმულები სათათბირომ უარ-ჰყო.

სხდომის ბოლოში წაიკითხეს მშრომელთა ჯგუფის შეკითხვა. აი, ეს შეკითხვა: „იცის თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომ ზოგიერთ საზღვარ-გარეთელ გამოცემას, რომელიც გამოწერილია სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს წიგნთ-საცავებისთვის, იჭერს საცენზურო უწყება და დანიშნულებისამებრ არ აძლევს. თუ იცის ეს მინისტრმა, რა ზომების მიღება აქვს განზრახული ხსენებულ მოვლენის თავიდან ასაცილებლად. რადგან მუდამ ჟამს საჭიროა ამა თუ იმ გამოცემის დაბარება საზღვარ-გარეთიდან, გთხოვთ, შეკითხვა სასწრაფოდ იქმნას ცნობილიო".

ამ შეკითხვის გამო კრუპენსკიმ განაცხადა, ყველაფერი ნათელი და მართალია მაგ შეკითხვაში, მაგრამ სისწრაფეს მხარს მაინც ვერ დაუჭერ, გადავცეთ კომისიას, რომელიც როცა მოისურვებს, მაშინ განიხილავსო. ასეც მოიქცნენ—შეკითხვა კომისიას გადასცეს.

შემდეგი სხდომა—16 ოქტომბერს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენ, ქართველებს, აღარაფერი გვაშფოთებს. გვაწიოკებენ, ავლა-დიდებას გვინიავებენ, ფეხ-ქვეშ სთელავენ ჩვენს უფლებას, მაგრამ ხმა ვერ ამოგვიღია. მოდუნდა ჩვენი ცხოვრების მაჯის ცემა, მაგრამ ხელი ვერ გაგვინძრევია. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენ თითონ ყურადღებას არ ვაქცევთ იმას, რაც ნება დართულია და რასაც არავინ არ გვიშლის. გუშინ წინ ჩვენ გაზეთში პატარა ცნობა იყო ქუთაისიდან, არსებობს ქუთაისში კერძო გიმნაზია, დამაარსებელი ქართველია, მასწავლებელნი და მოსწავლენი ქართველები არიან და ქართულს მაინც არ ასწავლიან, თუმცა დამშლელი არავინ არის. ამაზე მეტად დაუდევრობა, ეროვნულ სიწმინდის სასაცილოდ დაგდება წარმოუდგენელია. სამწუხარო ის არის უფრო, რომ ამ გარემოებას არავინ არაფრად აგდებს, ვითომ არაფერი არ მომხდარიყოს,

ასეა ყველაფერში. ჩვენთვის ყურადღების ღირსი აღარაფერია, თვით ენაც კი.

აბა ყური დაუგდეთ, რას ვკითხულობთ რუსულ გაზეთ „ბირჟევ. ვედომ."-ში (6 ოქტომბერი, № 1134):

კავკასიის მთებში, ადგილობრივ, ებელინგმა წარსულ ზაფხულს დახატა ფერადებით რამდენიმე სურათი ლერმონტოვის „დემონისათვის".

მხატვარი თვალ-ცრემლიანი მოგვითხრობდა განთქმულ კობნის მონასტრის მხეცურად განადგურებას, ეს მონასტერი ტფილისის არე-მარეში მდებარეობს, იგი იყო სასწაული ქართულ არქიტექტურისა; მან მთელი რვა საუკუნე იცოცხლა და მხოლოდ იმისთვის თურმე, რომ დაენგრია მხეც გაუნათლებელ იერემონაზონ დავითს (წმინდა ათონელია). ამ ვანდალს დაუქირავებია რამდენიმე მუშა სამას მანეთად და იმათაც რამდენსამე დღეში სრულიად დაანგრიეს მონასტერი.

ასეთ გიჟურ სიავაზაკის მიზეზი, რომლის გამართლება შეუძლებელია, არის შეურაცხყოფილი წვრილმანი თავმოყვარეობა: სტუმრები და მლოცველები, რომელნიც მონასტერში მიდიოდნენ, მხოლოდ ისტორიულ ნაშთს ათვალიერებდნენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ თვითონ მ. დავითს. ამით გაბრაზებულმა ჩაიდინა ასეთი სიმხეცე და ბარბაროსული საქმე.

ებერლინგმა მოიტანა პეტერბურგში რამდენიმე სურათი ნანგრევიდან გადაღებული. მართლაც, მნახველს ტირილი მოუვა. რა კეთილ-შობილური, ღვთაებრივი, თავისებური სილამაზეა! ორნამენტების ყოველ ნასკვში, ყოველ ხლართულში, შეუდარებელი, დაუშრეტელი სილამაზეა.

და ასეთ მშვენიერების გამანადგურებელი მ. დავითი თავისუფალია. არავინ პასუხს არ სთხოვს, ასეთ ღვთის და კაცის წმინდა გრძნობის შემაგინებელ მკვლელობისათვის.

ხომ ჰხედავთ, როგორა სწუხს უცხოელი მხატვარი და რუსული გაზეთი ჩადენილ ბარბაროსობისათვის. ჩვენში კი კაცი არ აღმოჩნდა, რომ ხელი შეეშალა უვიც ბერისათვის.

დიახ, ჩვენ აღარაფერი გვაშფოთებს...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თავრიზი.** ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა რაკი ყარადაღელებთან და შაჰსევანებთან ძალით ვერა გააწყორა, ამიტომ მათთან მოლაპარაკება გამართა. მათთან მოსალაპარაკებლად გენერალ-გუბერნატორმა გაგზავნა არდებილის გუბერნატორად ნამყოფი რაშიდ-ულ-მულკა. რაშიდ-ულ-მულკთან 100 თოფიანი ყაზახი ახლავს. რაშიდ-ულ-მულკის შემდეგ არდებილისკენ წავიდნენ რამდენიმე ასი სარბაზი და ბაგირ-ხანი თავის ფიდაებით: სარბაზები ერთი დღის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, იარაღი არ გვივარგაო, ახალი სიმჯემის თოფები დაგვირიგეთო. ბაგირ-ხანი თავის ფიდაებით თავრიზის ახლო დაბანაკდა.

### იტოს მოკვლა

**ერფურტი.** ხელმწიფე-იმპერატორმა გზაში გაიგო ხარბინში იტოს მოკვლის ამბავი. ხელმწიფე-იმპერატორმა იაპონიის იმპერატორს სამძიმრის და თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა.

**ტოკიო.** თავად იტოს მოკვლამ ძალიან ააღელვა იმპერატორი. სხვა და სხვა სახელმწიფოების ელჩებმა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს სამძიმარი უთხრეს. დალნიში გაუგზავნა სამხედრო გემი. ამ გემით იტოს გვამს იოკაგამაში მიასვენებენ. იაპონური და უცხოელების გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ მკვლელებს.

**ლონდონი.** „ტაიმს" ტოკიოდან, სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ: იტოს მოკვლამ დიდად დაადონა მთელი იაპონია, თუმცა კი გარეგნულად იაპონელები მშვიდად შეხვდნენ იტოს მოკვლის ამბავს. იტოს მკვლელობას არავითარი პოლიტიკური შედეგი არ მოჰყვება, მთავრობა წინანდელ პოლიტიკას აწარმოებს.

**ტოკიო.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ იტოს მკვლელობა არავითარ გავლენას არ იქონიებს მთავრობის პოლიტიკაზე და კორეაში ისეთსავე პოლიტიკას ვაწარმოებთ, როგორც წინედაო.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმმა იაპონიისას იტოს მოკვლის გამო სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

**ათენა.** დღეს, 14 ოქტომბერს, ოფიციალურ ორგანოში გამოცხადდება მეფის დეკრეტები, პრინცების ნიკოლოოს, გიორგი ანდრია და ქრისტეფორეს თხოვნები შეიწყნარეთ, პრინცები ჯარში აღარ იმსახურებენო.

### საზღვარ-გარედ

**ბრიუსსელი.** ბოოში ხოლერით ავად გახდა 8, გარდაიცვალა 8 კაცი.

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპონ. ბიურო"-ს სიტყვით ბოლგარიის ნაციონალური ბანკი და ინგლისური ბანკების ერთი ჯგუფი ოსმალეთში აარსებენ ინგლის-ბოლგარულ ბანკს. ბანკს 5 მილიონი ძირითადი თანხა ექნება.

ბანკის ცენტრალური განყოფილება სალონიკში იქნება.

**რ უ ს ე თ ი**

**მოსკოვი.** სენატორმა გარინმა სამხედრო გამომძიებელს უბრძანა შეუდექით საინტენდანტოს 26 მოხელის საქმის გამოძიებას.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 17, გარდაიცვალა 5, ავად არის 244 კაცი.

# კიდევ კახეთის რკინის გზის შესახებ

კახეთის რკინის გზის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მეტად ცოტა რამ იწერება. ამის გამო მკითხველნი მოკლებულნი ვართ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით ცნობებს ამ გზის შესახებ. საქმე კი, ვგონებ, ღირს იმად, რომ საზოგადოების რაც შეიძლება დიდმა ნაწილმა იცოდეს ამ გზის გაყვანის ავ-კარგი. მეორეს მხრით საჭიროა გზის მიმართულების ეხლანდელმა მკვლევარ-მაძიებლებმა ანგარიში გაუწიონ საზოგადოების აზრსაც და საქმე ბიუროკრატიულად კარ-ჩაკეტილში არ აწარმოვონ. ვფიქრობ, რომ საქმეს ამ შემთხვევაში უფრო ადვილად ააცდენენ შეცდომებს, რომლის გასწორება და თავიდან აცილება შემდეგში შეუძლებელი იქნება.

ამ გზის მიმართულებისა, რამდენადაც ვიცით, ორი ვარიანტი არსებობს. ჩრდილოეთისა, რომელიც მიდის ავჭალა-დავათით, ადის ახმეტაში, შემდეგ ალაზნის ველზე საქობომდე მიდის. მეორე—სათავდ-აზნაურო ანუ სამხრეთის ვარიანტი, რომელიც ტფილისიდან მიდის, გარეთ კახეთზე, მერე ჩალაუბნის ხევზე შიგნით კახეთში გადადის და თელავში ადის. დღეს გზის გამოკვლევა იმათ ხელშია, ვინც სამხრეთის მიმართულებას ყურადღებას აქცევს და ჩრდილოეთისას იწუნებს. რომ სამხრეთის მიმართულებას შეცდომა საკმაოდ ახლავს, ეს ბ-ნ ო.-ს პატარა წერილიდანაც ნათლად სჩანს (იხ. „დროება" № 209).

უმთავრესი შეცდომა გზის მკვლევრების მხრივ, ჩემის აზრით, ის იქნება, რომ მათ მართლა უარ-ჰყონ ჩრდილოეთის მიმართულება და სამხრეთისა მოჯობინონ და შემდეგ ისა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გზა გარედ კახეთის უმთავრეს სოფლებსა და ქიზიყს ააცდინონ. თუ ჩრდილოეთის მიმართულებას უარ-ჰყოფენ, მაშინ რკინის გზას ჩამოაშორებენ ორ მაზრას—თიანეთისას და დუშეთისას. ამ ორ მაზრაში ასი ათას სულამდე მცხოვრებია, რომელთა მომეტებულ ნაწილს შიგნით კახეთთანა აქვს მჭიდრო ეკონომიური კავშირი. ხსენებულ მაზრების კახეთთან დაახლოვება რკინის გზის საშუალებით გარდა იმისა, რომ დიდ სარგებლობას მოუტანდა ორივე მხარეს, არა მცირედ საზრდოს მისცემდა თვით რკინის გზასაც.

ამ მაზრების მთის ნაწილის მომთაბარე მცხოვრებთათვის კახეთი და შირაქია სულის ჩამდგმელი. ეხლაც კი, როდესაც უგზოობის გამო მისვლა-მოსვლა ასე ძნელია, ზემოხსენებულ ადგილებში მოულობს ეს ხალხი მომეტებულ ნაწილად სამუშაოსაც და კაცისა და საქონლის საკვებსაც. ამავე მხარესა სცდილობს დასახლებას მთის ხალხი. თუ კი დღეს დაღესტნელები და სხვა მხარის ხალხი ლაგოდეხის მიდამოებში, კაბალზე, ჭიაურში და შირაქის ახლო-მახლო დასასახლებლად თავებს იმტვრევენ, ნუ თუ სასურველად არ უნდა მიგვაჩნდეს ქართველ მთიელების აქეთკენ მოძრაობის ხელის შეწყობა? მიპასუხებენ, ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ რკინის გზას ეს ვერ ასაზრდოვებსო. მართალია, მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მგზავრების მიმოსვლა არსად არა ყოფილა რკინის გზის უმთავრესი მასაზრდოებელი და არც ჩვენში იქნება. ჩვენ აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ როგორც დღევანდელი და შემდეგში მოსალოდნელი წარმოების ყველა დარგი, ისე ცხოვრების ყველა მხარე, რასაც რკინის გზის შემოსავლის გაძლიერებისათვის მნიშვნელობა ექნება და რის წარმატებასაც თვით რკინის გზა შეუწყობს ხელს. თიანეთისა და დუშეთის ბარის ნაწილები მეურნეობის მხრივ ბევრით არაფრით განსხვავდებიან კახეთისაგან, ხოლო მთის ნაწილების დღევანდელს მცირე სარგებლის მომცემს ხვნა-თესვას ახლო მერმისში აუცილებლად უნდა მოჰყვეს რძის მეურნეობის აღორძინება და, მაშასადამე, მომთაბარეობის გაძლიერებაც. აქაურ მთებში მრავლადაა სპილენძისა, ტყვიისა, მარმარილოსი და სხვა მადნეულობა. მთელი გორები ლიტოგრაფიის ქვისა არაგვისა და ივრის ხეობებზე, რომელიც ულეველი მასალაა ცემენტისთვის. ივრისა და ილტოს ხეობები კავკასიონის უმთავრეს ქედამდე საშენებლად გამოსადეგ ტყითაა შემოსილი. განა მცირე საზრდოა ეს რკინის გზისთვის? თუ დღეს ყოველივე ეს მკვდარ თანხას წარმოადგენს, ამისი უმთავრესი მიზეზი უგზოობაა, შემდეგ ჩვენი უმეცრება და უსახსრობა. თუ აქ რკინის გზა გაივლის ერთი უმთავრესი დაბრკოლება დაძლეული იქნებოდა.

ჩვენ არ ვიცით, რა საბუთზე ამყარებენ სამხრეთ ვარიანტის უპირატესობას გზის მიმართულების ეხლანდელი მკვლევარ მაძიებლები, ან რაზე იწუნებენ ჩრდილოეთისას. კარგი იქნებოდა, რომ თავიანთ აზრს ქართული პრესის საშუალებით გააცნობდნენ საზოგადოებას. ტეხნიკური სიძნელე ორივე მხარეზე იქნება, მაგრამ, ვგონებ უძლეველი კი ირც ერთ მხარეზე. ამის გამო გზის მიმართულების არჩევის საქმე უმთავრესად გზისაგან მოსალოდნელმა სარგებლობამ უნდა გადასწყვიტოს.

რა სარგებლობას უნდა მოველოდეთ სამხრეთის მიმართულებისაგან, თუ კი გზას სიმოკლისა და სიიაფისთვის აცდენენ გარეთ-კახეთის უმთავრეს სოფლებსაც, ქიზიყსაც, ამ ბუნებით მდიდარსა და მჭიდროდ დასახლებულ კუთხეს, და შიგნით კახეთის მომეტებულ ნაწილსაც ახმეტიანად, რომლის ახლო-მახლო მოიპოვება ლიტოგრაფიის ქვისა, ნავთისა და სპილენძის (პანკისში) მადნები? რა სარგებლობა ექნება ან ქვეყანას რკინის გზისაგან და ან რკინის გზას ქვეყნისაგან, თუ კი მის სიმოკლესა და სიიაფეს ამოდენა მხარეებს მსხვერპლად შესწირავენ და გარედ დასტოვებენ? კახეთისა სახელი და რჩება, სახრავი კი იქნება მარტო შუა-კახეთის რამდენიმე სოფლისა და ქალაქ თელავისა, ამ ჩარჩ-ბაყალების და მევახშეების ბუნაგისა, რომელთაგანაც მთელ კახეთს სული აქვს ამორთმეული, ხოლო თვითონ თელავი კახეთს არაფერს აძლევს და არც წარმოადგენს იგი რაიმე თვალ-საჩინო საწრმოო ცენტრს.

ამას წინად გაზ. „ტიფ. ლის."-ში წავიკითხე ბ-ნ დ.—ს წერილი. ავტორი, სხვათა შორის, ამბობდა, რომ ჩრდილოეთის ვარიანტით რკინის გზის გაყვანა „უნაყოფო" ერწოზე იყო განზრახული. სიმართლეც ასეთი უნდა! სამგორის ხრიოკები, მანავისა და საგარეჯოს ბოლოების ჭაობები, ჩალაუბნის ხევი და პრასიანი, ალბად, მისის აზრით, ძალიან ნაყოფიერია, ერწო კი უნაყოფო. ერწო იმისთვის თუ მიაჩნია მას უნაყოფოდ, რომ იქ ვაზი არ მოდის, მაგრამ ვაზი ხომ არც რუსეთში და ბევრგან სხვაგან არ მოდის, მაშ რაღად გაჰყავთ რკინის გზები? არც შიგნით და არც გარეთ კახეთში ერწოზე მჭიდროდ დასახლებული კუნჭული არ მოიპოვება. მაშ რა აცხოვრებს ამოდენა ხალხს თუ ადგილ-ადგილი მწირია და უნაყოფო? მაგრამ ვთქვათ ერწო უნაყოფოა, იქ ათას შვიდასი კომლი კი არა,*) ათიც არა სცხოვრობს, არც თიანეთის მაზრის უმთავრესი ნაწილი აკრავს მას, ოცდა ათი ათას სულზე მეტ მცხოვრებით,—არაგვისა და ალაზნის ხეობები ხომ აღარ არის უნაყოფო. ჩოპორტიდან (არაგვის ხეობაზე) საღალის მინდვრამდე (კახეთის დასაწყისი, ახმეტას ზევით) ხომ ერწოიანად 25—30 ვერსზე მეტი მანძილი არც-კი იქნება. ადვილად მიხვდებით, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ მანძილს იქ, სადაც გზა ორ მაზრას მოჰხვდება და შემდეგ მთელი კახეთი უნდა თავიდან ბოლომდე გაიაროს და ქიზიყში შევიდეს.

დიახ, უბედურება ისაა, ბატონებო, რომ ჩრდილოეთის მცხოვრებთაც ურკინისგზოდ გვტოვებენ, სამხრეთის მცხოვრებთა დიდს უმრავლესობასაც და არჩეული უდაბურ ადგილებზე გაყვანილი რკინის გზა ტოტებ შემოძარცულს კენწეროსა და ფესვების ამარა დატოვებულ ხეს დაემსგავსება. გონიერი მებაღე-კი ხეხილს სანაყოფო ტოტებს არ დააჭრის და ფესვებისა და კენწეროს ამარა არ დააგდებს, თუ უნდა, რომ ხემ იხაროს და ნაყოფი მოისხას. **ხ.**

*) ერწოს ველი თიანეთიდგან სამხრეთისკენ მდებარეობს. აქვს სიგძე დაახლოვებით 15 ვერსი, სიგანე 7 ვერსი. აქა სცხოვრობს სამი საზოგადოება, ზედვე აკრავს საყარაულოს საზოგადოება. სულ აქა ცხოვრობს 1700 კომლამდე. ერწოს მაღლობელ ადგილებში მოიპოვება ქვანახშირისა და გლაუბერის მარილის ნიშნები.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **რამდენიმე კაცის მოკვლა და დაჭრა.** 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, პოლიციელნი და პატრული მიდიოდნენ ანდრეევის ქუჩით პოლიციის მე-10 ნაწილში. ანდრეევისა და ბატარეინი ქუჩების შესართავთან პოლიციელებს შეუნიშნავთ სამი საეჭვო კაცი და განუზრახავთ მათი გაჩხრეკა. სამმა უცნობმა რევოლვერები დაუშინა გოროდოვოის ბაშკეროვს, მოჰკლეს იგი და გაიქცნენ ერთი ანდრეევის ქუჩით, ხოლო ორი—ყვირილის ქუჩით. პირველი გასულა ვაგზლის ქუჩაზე და დაუჭრია პოლიციელი კაშჩეევი, რომელსაც მისი დაპატიმრება მოუნდომებია. შემდეგ ეს უცნობი მიმალულა. დანარჩენ ორთაგან ერთი დაიმალა, ხოლო მეორემ შეირბინა რაჟდენ ჯაფარიძის შუშის საწყობში, იქიდან გავიდა მეორე ეზოში, მოჰკლა იქ სამხედრო საკრებულოს უფროსის ჯარის-კაცი სანტიურინი, გავარდა ვოგზლის ქუჩაზე და საიდღაც მიიმალა. ჩხრეკის დროს აღნიშნულ უბანში ექვით დააპატიმრეს სამი კაცი—ახალ სენაკის მცხოვრები ფარმაცევტი კონსტანტინე გაბუჩია, ვლადიმერ ქვანია და განჯის მცხოვრები ფაგინ სიმონიანცი. მოკლულების გვამები და დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა ვლადიმერ კამენოვსკი და ნაზარი კაპშენკო.

✦ **თავად-აზნაურთა წინამძღოლის გადაყენება.** 7 ოქტომბერს სენატს განუხილავს საქმე ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. აფაქიძისა. რევიზიას აღმოუჩენია, რომ თავ. აფაქიძეს თანამდებობის აღსრულების დროს ბოროტ-მოქმედებანი ჩაუდენია—გაუფლანგავს ფული, დაუმალავს სხვა და სხვა საბუთის ქაღალდი და სხვა. საქმე განუხილავს პირველ დეპარტამენტს. დეპარტამენტს დაუდგენია, განმარტების მოუთხოვნელად გადააყენოს თანამდებობიდან თავ. აფაქიძე და იმის საქმის შესახებ დანიშნოს წინასწარი გამოძიება.

✦ **სამკურნალო საზოგადოება.** დღეს, 16 ოქტომბერს, საღამოთი, სამკურნალო საზოგადოების სადგომში მოხდება ამ საზოგადოების კრება. სხვათა შორის ექიმი დ. ახვლედიანი წაიკითხავს მოხსენებას ამ სათაურით: „კახეთის მცხოვრებნი".

✦ **გრიგოლ ვოლსკის გარდაცვალების გამო.** მოგვივიდა შემდეგი დეპეშები: „პეტერბურგი. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველი სათვისტომო დიდად სწუხს პატიოსან მშრომელის და მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის დაკარგვას". „ოდესსა. ქართველი სტუდენტები უცხადებენ ღრმა მწუხარებას ვოლსკის მეგობრებსა და მახლობელთ." „პეტერბურგი. პეტერ. უნივერსიტეტის სამეცნიერო წრე უერთებს თავის მწუხარებას ქართველ საზოგადოებას, რომელმაც დაჰკარგა პატიოსანი მუშაკი".

✦ **ფორმა.** ტფ. გუბერნატორმა ქაღალდი გაუგზავნა ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორს მდივანს. სწერს, მიიღეთ ზომა, რომ უსათუოდ გიმნაზიის ყველა მოწაფე ატარებდეს ფორმასაო.

✦ **ფილოლოგიის მუშაკთა კონგრესი.** ქართულ-სომხურის ფილოლოგიის მუშაკთა კონგრესის მომწყობმა ორგანიზაციულმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა, მოახდინოს კონგრესი ტფილისში ივნისის 6-16 რიცხვებში. ამავე სხდომაზე არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეებად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ექ. სიმ. თაყაიშვილი და ალექ. ჰაირაპეტის ძე ქალანთარი, ხოლო მდივნად იუსტ. ი. აბულაძე.

✦ **ახალი თათრული გაზეთი.** გაზ. „მშაკის" სიტყვით, სტამბოლში მალე გამოვა ახალი თათრული გაზეთი, რომლის მიზანია სათათრეთში მცხოვრებ უცხო ერთა სოლიდარობის საქმის განმტკიცება.

✦ **ხმოსნის მოკვლა.** არზრუმიდან ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ იქ ამ დღეებში მოუკლავთ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად წამყოფი ეგიშე თოფჩიანი. თოფჩიანი ტფილისში კარგა ხანს სცხოვრებდა და ბოლო დროს მონაწილეობას იღებდა სომხურ ჟურნალ-გაზეთებში. ბოლო დროს თოფჩიანი არზრუმის ვილაეთში სომეხთა სკოლების ინსპექტორად იყო. ამ მკვლელობას ძალიან აუღელვებია არზრუმელი სომხობა. ვის და რა განზრახვით მოუკლავს თოფჩიანი, ჯერ არ იციან.

✦ **კრწანისის ხიდი.** კარგა ხანია ლაპარაკია კრწანისში ხიდის გაკეთების შესახებ. საერობო თანხიდან ამ საქმისათვის უნდა გადაიდოს 10,000 მან. რადგან ის ადგილი, სადაც ხიდი უნდა გაიდოს, ქალაქის საზღვრებშია, ნამესტნიკის საბჭოს დადგენილებით, მთელი საქმე გადაეცა ტფ. ქალაქის გამგეობას და მას დაევალა ზრუნვა კრწანისის ხიდის გაკეთებისათვის.

✦ **პრემია.** როგორც მკითხველებმა იციან, წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას დავალებული აქვს უგანათ. თავ. გრ. დადიანის მიერ დატოვებულ ფულის სარგებლიდან 400 მან. პრემიად მისცეს იმას, ვინც შეადგენს საუკეთესო თხზულებას: 1. საქართველოს წარსულ ცხოვრების შესახებ; 2. ქართული ენის შესახებ და 3. ქართულ ძველ ან ახალის მწერლობის შესახებ. ვადა თხზულებების წარდგენისა ორი თვის შემდეგ სრულდება. პრემია წინადაც დანიშნა საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, მაგრამ მაშინ არავინ წარუდგინა თხზულება.

✦ **სხდომა.** კვირას, 18 ოქტომბრისათვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა საკონკურსო კომისიისა, რომელმაც უნდა მოისმინოს მოხსენებით ქალაქის საავადმყოფოების პირველი პავილიონის უფროსი ექიმის და მის თანაშემწეთა კანდიტატების შესახებ,

✦ **უპასპორტოები.** 14 ოქტომბერს პოლიციის მე-5 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 20 უპასპორტო კაცი.

✦ **ძველი ნივთები.** როგორც აღვნიშნეთ, წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო მუზეუმისათვის სვანეთიდან ჩამოტანილი ნივთები. ნივთები სვანეთიდან ქუთაისის გამოფენაზე ჩაუტანია ბ-ნ ეგნატე გაბლიანს, რომელსაც გამოფენის გათავების შემდეგ მუზეუმისათვის გამოუგზავნია. ნივთებს შორის შესანიშნავია შვილდ-ისარი.

✦ **შემოწირულება.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ოდესიდან მიიღო 107 მან. პროფესორ მელიქიშვილის მიერ შეკრებილი ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **მამა შვილის მოკვლა.** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს მოუკლავთ მამა შვილი თეთროშვილები. პოლიციას ეჭვი მიუტანია უნდილაშვილებზე.

✦ **საბაღოსნო სკოლის მზრუნველი.** 14 ოქტომბერს მოხდა სხდომა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. სხვათა შორის საბჭომ განიხილა საკითხი ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის მზრუნველის არჩევის შესახებ, აქამდე სკოლის მზრუნველის თანამდებობას ასრულებდა სამეურნეო საზოგადოების ხაზინადარი ე. ო. იოსელიანი. საბჭომ სკოლის მზრუნველად აირჩია ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. ე. არგუთინსკი-დოლგორუკოვი.

✦ საგუბერნიო სამართველომ ტფ. ქალაქის გამგეობას დაავალა პატენტების მიცემის დროს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის ახლო-მახლო სასმელი დუქნებია. კანონით, სასმელი დუქნები სასწავლებლებზე უნდა კარგ მანძილზე იყვნენ დაშორებულნი.

✦ ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, საზოგადოების მთავარმა კომიტეტმა მიმართა საზოგადოების წევრებს, შეიტანონ შეწევნის ფული საზოგადოების გამსესხებელ კასის თანხის შესადგენად.

✦ „ტფ. სობრანიეში" 14 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა ტფ მოქალაქე 65 წლის მოხუცი შახმურადოვი.

# მოწერილი ამბავი

**ს. შაშიანი** (კახეთი). წელს კახეთს დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ. ბევრი მამულის პატრონი დააღონა და ხელ-ცარიელი დასტოვა ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა. გადარჩა თითო-ოროლა სოფელი, რომელთა მცხოვრებნიც მოუთმენლად მოელოდნენ ვენახების დაკრეფას. ჰფიქრობდნენ წელში გასწორებას და ათას ნაირ ხარჯის შემოსრებას. სწორედ იმ დროს, როდესაც ქვევრებს ამზადებდნენ და ბევრი კიდეცა ჰკრეფდა ვენახს, მოვიდა საშინელი სეტყვა და რომელ ვენახზედაც გადაიარა, თავისი შეუბრალებელი კვალი დასდო—სულ მთლად გაანადგურა მოწეული ყურძენი. ეს მოხდა 18 ენკენისთვეს. მეორე დღეს გულ-ხელ დაკრეფილნი შეჰყურებდნენ თავიანთ გაოხრებულ ამაგს. მტერსაც-კი ცრემლი მოერეოდა, ისე იყო დედა-მიწაზე მოფენილი ყურძენი. ასეთივე ბედი ეწვია შაშიანს.

ამ ზარალს კიდევ გაუძლებენ, თუ რაც გადარჩა იმას მაინც გაჰყიდიან კარგ ფასში. წელს, გვალვის გამო, ყურძენი ძალიან მოიწია, ამნაირ შესანიშნავ ყურძენს, ძნელად თუ ვინმე შესწრებია. საუკეთესო ტკბილები იყო და ღვინოც საკვებო დადგება. მართალია, ნაკლები გამოსავალი ჰქონდა, მაგრამ რაც არის, საუკეთესო თვისებისაა. ღვთისნიერი სირაჯი რომ მოვიდოდეს, ათ-თორმეტ თუმანს უთქმელად მისცემს ერთ საპალნეში (32 ჩაფი, ჩაფი—ოთხი თუნგი). მაგრამ სამწუხაროც ის არის, რომ წინანდელი სირაჯები აღარ მოდიან კახეთში, ზოგ მათგანს რაჭულის ღვინოები მიაქვს და კახურ ღვინის სახელით ასაღებს. კახურ ღვინოებს კი უიღულობენ „ზოღ-სირაჯები" (ასე ეძახიან სოფლად). ესენი ქალაქელ ჩარჩებთან იჭერენ საქმეს და ვიდრე გამსადებლებამდე მივა ღვინო, ძალაც გამოლეული აქვს და გემოც; სახელიც უტყდება ამათის წყალობით კახურ ღვინოს. სირაჯებს თუ არ უნდათ მომხმარებლების ჩამოშორება და მუშტრის დაკარგვა, თითონ უნდა იარონ ძველებურად ღვინის სასყიდლად. საუკეთესო ღვინოსაც შეიძენენ და მუშტარსაც გაიმრავლებენ. თხუთმეტი წლის ბიჭების გზავნა ღვინის სასყიდლად მათ ხეირს არ მისცემთ.

**კაკიანთხეველი.**

---

**კიევი.** კიევის უნივერსიტეტში ამ ჟამად ას ორმოცდა ათ ქართველამდე იქნება. კიევი, როგორც მოგეხსენებათ, მალოროსიის ცენტრია. იგი გაშენებულია გორაკებზე და თითქმის მთლად ბაღებშია გახვეული. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებზე კიევი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. აქაურ ბუნებას ბევრი რამ აქვს საერთო ჩვენის ქვეყნის ბუნებასთან. ცხოვრება კიევში გაცილებით ნაკლები ჯდება, ვიდრე ოდესა-ხარკოვში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ახალგაზრდობა მაინც ზემოხსენებულ ქალაქებს უფრო ეტანება. ადგილი ასახსნელია, როდესაც ჩვენებს პეტერბურგი და მოსკოვი იზიდავს. როგორც მოგეხსენებათ, პეტერბურგი და მოსკოვი რუსეთის გონებრივი ცენტრებია, აქ სრულიად რუსეთის საუკეთესო ნაწილის სულიერი ძალა იყრის თავს.

ხოლ სხვაა ოდესა და ხარკოვი. ეს ქალაქები არაფრით განირჩევიან კიევისაგან. კიევის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აქ ბუნება გაცილებით უკეთესია ზემო ნახსენებ ქალაქებთან შედარებით და ცხოვრებაც ნაკლები ჯდება. ეს გარემოება ქართველ ახალგაზრდობის ყურადღებას უნდა იქცევდეს, იმიტომ რომ არც ერთ ეროვნებას არა ჰყავს, ჩემის აზრით, ისეთი ხელმოკლე სტუდენტობა, როგორც ჩვენსას. წელს შედარებით ბევრი ქართველი მოაწყდა კიევის უნივერსიტეტს. უმეტესად ტფილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი არიან. კიევის უნივერსიტეტში ოფიციალურად ქართველი სათვისტომო არ არსებობს. ზოგი კავკასიის სათვისტომოს შემადგენლობაში [illegible] აგრძელებს მუშაობას. ვინაიდან იმას წელს კიევს ბევრი [illegible] დაიბადა აზრის შუამდგომლობა, სადაც ჯერ არის, რომ ქართველ სათვისტომოს მოქმედება ოფიციალური ხასიათი მიეცეს. ვნახოთ, რა გამოვა.

ჩვიდმეტ ენკენისთვეს პირველი კრება მოხდა და ქართველ სათვისტომოს მთელი აქ მყოფი ახალგაზრდობა მოაწყდა. ამავე დღის იყო დანიშნული კავკასიის სათვისტომოს კრება. კრების ბოლოს გვეწვია კავკასიის სათვისტომოდან გამოგზავნილი კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაეგო ჩვენი მასთან დამოკიდებულებანი. ამის და სხვა საკითხების გამო დაინიშნა მეორე კრება 25 ენკენისთვეს. ამ კრებაზე დიდის კამათის შემდეგ ერთხმად გადასწყდა შემდეგი: „პირველი—თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა წრეს, რომელიც ამტკიცებდა კავკასიის სათვისტომოში შესვლას ფედერატიულ პრინციპის მიხედვით, ქართული სათვისტომო უკვე ოცდა ხუთი წელიწადია, რაც არსებობს და თავის წევრებს საჭირო დახმარებას უწევს, რასაც ყოველმა გონიერმა ქართველმა ანგარიში უნდა გაუწიოს; მეორე—კავკასიის სათვისტომო ეროვნებათა შეტაკების ასპარეზია, რაც მას მოქმედების უნარს უკარგავს და მიზანს აშორებს. ამიტომ და სხვა მიზეზების გამო ჩვენ, ქართველი სტუდენტობა, გწყვეტთ მასთან კავშირს". ეს დადგენილება უკვე გადაეცა კავკასიის სათვისტომოს.

ამ საღამოს გადასწყდა აგრეთვე, თუ როდის ან როგორ მოაწყონ ქართული საღამო, რომელიც ყოველ წლივ იმართება კიევში. ამავე საღამოს ამოირჩია ქართულმა სათვისტომომ საპატიო წევრები ჩვენს საზოგადო მოღვაწეებიდან, რომელთაც ამ მოკლე ხანში გაეგზავნებათ ბარათები. **კ. ჩხეიძე.**

# თეატრი და ხელოვნება

**სარაჯიშვილის კონცერტი.** ივ. სარაჯიშვილის კონცერტს მრავალი ხალხი დაესწრო. პარტერი და ლოჟები თითქმის სავსე იყო. საზოგადოებამ მხურვალედ მიიღო როგორც თვითონ ბ-ნი სარაჯიშვილი, ისე კონცერტის სხვა მონაწილენი—ბ-ნნი ისკანდერი (იმღერა), პოლტარაცკაია (დაუკრა როიალზე), მერეხბლიუმი (დაუკრა სკრიპკაზე); ბ-ნნი ამირჯანი (იმღერა) და დავიდოვი (წაიკითხა რუსული ლექსები). თითქმის ყველა მონაწილეს რამდენჯერმე გაამეორებინეს სიმღერა და დასაკრავი. აკომპანიატორად იყო ნ. გ. ქართველიშვილი.

---

**ავლაბრის თეატრი.** ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ თხოვნით მიმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, დახმარება აღმოუჩინოს ყოველ წარმოდგენაზე იმით, რომ მორიგეობით მსახიობნი დაახმაროს ხოლმე, რათა წარმოდგენებმა უფრო ლამაზად და კარგად ჩაიარონ. საჭიროა, დრამატიულმა საზოგადოებამ ამ თხოვნას ყურადღება მიაქციოს.

---

**„ანათემა" მოსკოვის სამხატვრო თეატრზე** (წერილი მოსკოვიდან) 30 სექტემბერს მოხდა პირველი გენერალური რეპეტიცია ლეონიდ ანდრეევის ახალი პიესის „ანათემასი". ვამბობ „რეპეტიცია", მაგრამ გულში მეცინება და ვფიქრობ: ნუ თუ ოდესმე ვეღირსებით, რომ ჩვენი ნამდვილი წარმოდგენა ამ „რეპეტიციას" დაემსგავსოს?! დეკორაციები, გრიმები, ტანთსაცმელი და როლების ასრულება, საზოგადოება რჩეული: აქ იყვნენ მოსკოვის ყველა გამოჩენილი ლიტერატორი, პროფესორი, დრამატურგი, არტისტი და სხ. ყველას რაღაც მოუთმენლობა ეტყობოდა, მოლოდინი რაღაც სასწაულისა. და მართლაც, აიწია ფარდა და მაყურებელს წარმოუდგა ფანტასტიური, არა ამ ქვეყნიური სანახაობა: სიბნელე, წყვდიადი, რომელშიაც ძლივს არჩევ ხრიოკ კლდეებს. მაღლა კლდის ერთ მწვერვალიდან ნემსის ოდენა სხივი გამოსჭვივის და ისარივით ესობა მაყურებელს თვალში: შეჰხედავ თუ არა ამ სიბნელეს, დაინახავ რაღაც უზარმაზარს, წამომჯდარს თავის ტახტზე. თითქო ამ კლდის ხორცმეტია, გამონაკვეთულია მხოლოდ მისი გარეგნული ფორმა, სახე არ უჩანს; ხელთ

უპყრია დიდი მახვილი, ხოლო მისი დიდრონი ფრთები მჭიდროდ მიჰფარებია „საიდუმლოებათა სამეფოს კარებს“ ეს არის „ვილაც, მფარველი საიდუმლოებათა“. იგი მაღლა სდგას. სიბნელე თან და თან სუსტდება, ორივე მხარეს კლდის გამოქვაბულიდან წითელი სინათლე გამოიჭრება, ზევითა ისარი ფერს იცვლის და სცენაზე მოეფინება ლურჯი და მწვანე ფერის, ერთმანეთში არეული მკრთალი ნათელი. კლდის ერთ ნაპრალიდან ამოხოხდება „ანათემა“. იგი ქვემძრომივით ხოხავს „ვილაცის“ ფერხთა ქვეშ... უნდა გაიგოს ქვეყნიური საიდუმლოება, იხილოს ჭეშმარიტება. ხან ლაქუცით ევედრება, ხან ლანძღვითა და წყევით ემუქრება, მოაშოროს ფრთები „კარებს“ და აჩვენოს რა ხდება იქ... „ანათემა“-ს სცხვენიან თავის ცნობის-მოყვარეობისა, სისუსტისა, მაგრამ წყურვილი ჭეშმარიტების ხილვისა არ ასვენებს. „ჭეშმარიტება არსებობს,—გაისმის საიდუმლო ხმა,—მაგრამ შენ, ანათემა, ვერ იხილავ“! ანათემას არა სჯერა, არა სწამს ეს... არა სწამს ქვეყნიერება და არც ჰხედავს მასში ჰარმონიას. ამის ნათლად დასამტკიცებლად თავის მოქმედების იარაღად იგი ირჩევს ღარიბ ებრაელს, დავით ლეიზერს. ლეიზერი ღვთის მოყვარე, კეთილი და სათნო ებრაელია, და სწორედ ადამიანთა შორის ამ საუკეთესო არსებით, ამ ღვთის შვილით (როგორც ანათემა ეძახის ხოლმე) უნდა დაუმტკიცოს „მას“, რომ ჭეშმარიტება არ არსებობს, არ არსებობს ქვეყნად კაცთა შორის ჰარმონია. დამუქრებული ანათემა მიდის.

ფანტასტიურ სამეფოიდან ავტორს გადავყევართ სინამდვილეზე,—სიღარიბის აპოთეოზზე.

ზღვის პირად გაშლილია კარვები, სხვა და სხვა სასმელ წყლით მოვაჭრენი იცქირებიან გზისაკენ, ელოდებიან მუშტარს, მაგრამ მუშტარი არა სჩანს. შემოსავალი არ არის. შიმშილისაგან მისუსტებული ხალხი კვნესის, ძლივ გასაგონად ლაპარაკობს. აქ ვაჭრობს ლეიზერიც. ამ სიღარიბის სამეფოში გამოცხადდება ანათემა ადამიანის სახით, სერთუკში გამოწყობილი, პორტფელით ხელში. აქ ყველაფერს სიკვდილის ელფერი ადევს. ყოველი კუთხიდან გაჭირვებასა და სასოწარკვეთილებას გამოუყვია თავი და მიბნედილის თვალებით შესცქერის თავის მსხვერპლს... და როდესაც შიმშილისაგან მისუსტებული, კოქლი მეარღნე, დაინახავს უცხო კაცს, ანათემას, გახარებული, იქნებ პურის ფული მაჩუქოსო, თავის მოშლილ არღანს გულშემზარავად აჭიჭყინებს, ანათემა აღტაცებით წამოიძახებს: „აი, ამ ქვეყნიური ჰარმონია!“

ანათემას მოაქვს დავით ლეიზერთან ანდერძი ოთხ მილიონ მანეთისა, რომელიც უანდერძა ლეიზერს ძმამ. და ურჩევს ეს ფული ღარიბებსა და გაჭირვებულებს დაურიგოს. ლეიზერიც ასე მოიქცევა. შეაგროვებს ღარიბებს და ყველას თანასწორად დაურიგებს. მაგრამ ამით არავინ არ გაბედნიერდა, არც გამდიდრდა. ცხოვრება ისევ იმ კალაპოტში დარჩა... შიმშილისაგან დახოცილ ლეიზერის შვილებს არ შემსუბუქებიათ სამარის ლოდები. ცოცხლები კი—ვაჟი მაინც კვდება, ქალი, რაკი გაიგებს მამა თავის ქონებას სხვებს ურიგებსო, სახლიდან გაიქცევა. ლეიზერმა ვერ გააძღო ყველა მშიერი, მხოლოდ უფრო მეტად გაუცხოველა მომავლის იმედი, შთაუნერგა სასწაულის შესაძლებლობა... ყოველ კუთხიდან მოაწყდნენ ლეიზერს ბრმები, დავრდომილები, მოიტანეს მკვდრები და თხოულობენ სასწაულს, მაგრამ... სასწაული არა ხდება... ლეიზერი ულონოა ამისთვის. ლეიზერმა ვერ შეიკავა ეს სტიქია, ვერ დაარწმუნა ხალხი, რომ არ ძალუძს მკვდრების აღდგენა და ანათემას სთხოვს აუხსნას ხალხს, უთხრას, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ ანათემა განზე სდგას და მხოლოდ გესლიანად იღიმება... იგი ურჩევს ლეიზერს გაიქცეს, მოშორდეს ამ უვიც ბრბოს, თავი დაიფაროს. ორივენი გარბიან. მაგრამ იმედ-დაკარგული, გაავთრებული ბრბო უდაბნოში მისწრობს ლეიზერს და ქვებით ჩაჰქოლავს.

გამარჯვებული ანათემა მიდის „საიდუმლოების მფარველთან“ და მოურიდებლად პირში ახლის: „რად დაიღუპა დავით ლეიზერი? სად არის შენი „ჭეშმარიტება“, „კაცთა შორის ჰარმონია“? დამპალ ლეშთან ერთად ხომ არ ჩავარდნილა ნაპრალში“?!. ეს არის მოკლე შინაარსი.

პიესა, ჩემის აზრით, სავსეა წვრილმანებით, რაიც მაყურებელს ღლავს. მეორეც—ძნელია ერთად შეთანხმება განყენებულისა და რეალურისა. ეს შეუძლიან მხოლოდ გენიოს გეტეს—„ფაუსტ“-ში. „ანათემი“-ს ავტორს კი ამ სიძნელისათვის ვერ დაუძლევია.

მოთამაშეებში პირველი ადგილი კაჩალოვს (ანათემა) უჭირავს. ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება, გამოხედვა, ხმის ათასნაირი ზოგან დემონიური, ზოგან ტკბილ მოსასმენი, ჰარმონიული მიმოქცევა მაყურებელს ხან სიამოვნებას აგრძნობინებდა და ხან შიშის ზარსა ჰგვრიდა. ვიშნევსკი (ლეიზერი) სუსტი იყო თუმცა ეს „სუსტი“ თავის ტეხნიკითა და ხელის შეგნებით ბევრ ჩვენს „კარგსა“ სჯობდა, მაგრამ ლეიზერის სულიერი მდგომარეობა მაინც სავსებით ვერ გადმოგვცა. ეს ორი უმთავრესი როლია მთელს პიესაში. რაც შეეხება დანარჩენებს—ყველაფერს ეტყობა რეჟისორის მადლიანი ხელი. ყველაზე საკვირველი და სასიამოვნო სანახავია პატარა ბავშვები ბრბოში... ისინიც თამაშობენ და მოქმედებენ, როგორც დიდი ხნის გამოცდილი მსახიობები. მაგრამ საკვირველიც არ არის: ვისაც და რასაც სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელი მოჰხვდება, იქ ქვაც-კი გრძნობით განიმსჭვალება და ალაპარაკდება.

პიესას მიმდინარე სეზონში 52-ჯერ ითამაშებენ. ყველა წარმოდგენის ბილეთები უკვე გაყიდულია.

**ვალ. შალიკაშვილი.**

# სასამართლო

**მკვლელობა და ცარცვა-გლეჯა.**

15 ოქტომბერს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ყაზახის მაზრის მცხოვრების აბდულ აზიმ ბაქირ-ოღლისა: რომელსაც ჰბრალდებოდა ყაჩაღთა ბრბოს მეთაურობა და სხვა და სხვა დროს მკვლელობის, ცარცვა-გლეჯის და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენა. 1908 წელს 25 მაისს ბრალდებული აბდულ აზიმ ბაქირ-ოღლი ამხანაგებთან ერთად, შეიარაღებული, მისულა ტფ. მაზრის სოფ. შიხილოში, დაუვლიათ მთელი სოფელი და ყველასაგან წაუღიათ ნავთი, შემდეგ მიახლოვებიან ზეინალ-ოღლის სახლს, გადაუსხავთ სხვა და სხვა მხრიდან ნავთი და ცეცხლი წაუკიდებიათ. ცეცხლის წაკიდებაზე გამოვარდნილან სახლის პატრონები და ატეხილა სროლა ყაჩაღების მხრივ. მოკლულები აღმოჩენილან ზეინალ მამედ-ოღლი და მაშად ზეინალ-ოღლი. იქვე გაუცარცვავთ ერთი ოჯახი, წაუღიათ ფული, უნაგირი და სხვა ნივთები, შემდეგ გაუტაცნიათ ორი ბავშვი ალი ჩოფურ-ფალი-ოღლი და მისი ძმა და მათ გასანთავისუფლებლად მოუთხოვნიათ ასი თუმანი, ყაჩაღების მისვლის ამბავი შეუტყობინებიათ მახლობელ სოფელში მყოფ საერობო დარაჯის ჩილინგაროვისათვის, მაგრამ ყაჩაღებს ბავშვები გაუშვიათ და თვითონ კი მოუსწრიათ დამალვა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ აბდულ აზიმ ბაქირ ოღლის მოუვლია შტაკები დარაჯებთან, დაჭრილა კიდეც, მაგრამ დაჭერა მაინც ვერ მოუხერხებიათ. ბოლოს მიუკვლევიათ, რომ იგი ირჩენდა თავს კუჩენბახის ყველის საკეთებელ ქარხანის მოსამსახურესთან და დაუტუსაღებიათ.

აბდულ აზიმ ბაქირ ოღლი ცნობილი ყაჩაღია. მისი საქმე სამხედრო სასამართლოშიაც ყოფილა განსახილველად დანიშნული.

ბრალდებული გამოტყდა ბევრი ბოროტ მოქმედებაში. სასამართლომ მიუსაჯა სხვა და სხვა ვადით კატორგა, ერთად თხუთმეტი წლის კატორგა გამოვიდა.

# უცხოეთი

**დემონსტრაცია რომში ფერერის დასჯის გამო.**

ფერერს დასჯა გადაუწყვიტეს—ეს ამბავი საშინელ რისხვად დაეცა თავზე რომის მცხოვრებთ. არავის უნდოდა დაეჯერა, რომ განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ. ზოგიერთი დემოკრატები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ესპანიის მთავრობა კომედიას თამაშობს და აპატიებს ფერერსაო. ყველა საკმაოდ იცნობდა ესპანელ იეზუიტებს, მათი სისასტიკეც იცოდნენ, შურით სავსე იეზუიტები მთავრობას სათავეში უდგანან და მოწინააღმდეგეებზე შურს იძიებენ—სასტიკ შურს. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ არავის არ უნდოდა დაეჯერა—თუ განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ. ოფიციალური Tribuna ირწმუნებოდა, რომის პაპამ სურვილი გამოსთქვა ფერერს პატიებაზეო.

ასრულდა იეზუიტების სურვილი, დასაჯეს ფერერი. ეს საშინელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს რომს. ხალხი ქალაქის მოედნებზე იკრიბებოდა. ყველა თხოულობდა, როგორმე პასუხი გაგვცეთ ამ მხეცობასაო. საყოველთაო დიდი არა ჰქონდათ რა. ყველა „საყოველთაო გაფიცვას“ გაიძახოდა.

მუშები თხოულობდნენ დაუყონებლივ გამოეცხადებინათ საერთო გაფიცვა. ძლივს შეიმაგრეს მუშები, ძლივს დაარწმუნეს მეორე დღის 10 საათამდის მოეცადნათ. შეეკითხნენ ტურინში შრომის მთავარ კონფედერაციას, რომელსაც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი საერთო გაფიცვაზე. მეორე დღემდე საშინელი მოუთმენლობა სუფევდა. დიდი ფაცი-ფუცი იყო. ჯარებით გაავსეს ქუჩები ჯარისკაცებითა და პოლიციელებით აავსეს. დილის 10 საათზე დეპეშაც მოვიდა ტურინიდან. გაფიცვა დადასტურებული იყო. შრომის სახლის წინ აუარებელი ხალხი შეიკრიბა. გაიმართა კრება, შეიმუშავეს შემდეგი წესრიგი: 1) შესწყდეს მუშაობა, სავაჭროები დაიკეტოს. კარებებზე უნდა დაიწეროს—„დაიკეტა მსოფლიო მგლოვიარობის გამო“, 2) დაიკეტოს სინემატოგრაფები, თეატრები; 3) დაუყონებლივ მოიწვიან კომუნალური საბჭოს კრება, ფერერის პატივსაცემად. ამ კრებას ესპანიის მოედნისათვის „ფრანჩესკო ფერერის“ სახელი უნდა ეწოდებინა. 4) უნდა ეცნობოს ესპანიის კარდინალებს-იეზუიტებს, რომ იმათ ადგილი აღარა აქვთ იტალიაში და დროა გავიდნენ რომიდან.

ეცბად დუქნები და ყველა სავაჭრო დაწესებულებანი დაიკეტა. ქუჩებში ეტლებისა და ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. 12 საათზე ყველა დადგენილება სისრულეში მოიყვანეს. გაფიცვა ერთ დღეს უნდა გაგრძელებულიყო.

ქუჩებში გააკრეს მოწოდებანი—აი შინაარსი ამ მოწოდებისა: „მოქალაქენო, რომი მწუხარებით უერთდება მთელს მსოფლიოს, ჰგლოვობს ფერერის დასჯას. მოაზროვნე ადამიანის დასჯა, საუკეთესო სკოლის მოციქულის სიკვდილი საშინელი შეურაცხყოფაა ადამიანის ცხოვრებისა, სინიდისისა და კულტურულ პროგრესის ბრძოლისა რეაქციასთან. რომი იმაღლებს თავის ხმას და ენერგიულად ჰგმობს ჯალათების ვერაგობას და ბარბაროსობას“.

გაფიცვა თან და თან გაფართოვდა. აქამდის თუ მარტო მუშები იკრიბებოდნენ ქუჩებში და ჰგმობდნენ ამ მკვლელობის ჩამდენთ, ეხლა რომის ყველა მოაზროვნე ადამიანი, ვისთვისაც სინიდისი ჯერ კიდევ ვერ მოუწამლა იეზუიტების მტარვალობას—აშკარად გამოვიდა ქუჩაში, შეუერთდა მანიფესტანტებს და ხმა მაღლა ისიც ჰგმობდა ადამიანის თავისუფალ სინიდისის შეურაცხყოფელთ. ჯიორდანო ბრუნოს საზოგადოების შენობის წინ დიდი სამგლოვიარო დროშა იყო ჩამოშვებული. მანიფესტაციამ მშვიდობიანად ჩაიარა. პოლიციაც კი განცვიფრებული იყო იმ დისციპლინით, რომელსაც მანიფესტანტები იცავდნენ.

**ოფიცერთა კავშირი და საბერძნეთის პალატა.**

სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ოფიცერთა კავშირს აგრძნობინეს, რომ თუ საქმე გამწვავდა, სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან ჩაერივნენ საქმეშიო. ამის გამო ოფიცერთა კავშირმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც აცხადებს, დეპუტატთა პალატის დათხოვნა არა გვაქვს მიზნად, არც დიქტატურის გამოცხადებაა ჩვენი მიზანიო. ჩვენი სურვილია მალე იქმნას გატარებული ცხოვრებაში სამხედრო კანონ-პროექტები.

კავშირის აზრით, პალატა კიდეც რომ წინააღუდგეს ამ კანონ-პროექტებს, კაბინეტს მაინც შეუძლიან დარჩეს და საქმეები აწარმოვოსო. თუ სამინისტრო გადადგება, კავშირი შეეცდება საქმიანი სამინისტრო შეადგინოს მტკიცე კონსტიტუციონალურ პირებისაგან.

**მღელვარება ოსმალეთის სომხებში.**

მაკაზდერდის სომხებში დიდი მღელვარებაა ადგილობრივ გუბერნატორის ფატულა-ბეის წინააღმდეგ. ფატულა-ბეის შეუყვარებია ერთი ცნობილ სომხის ცოლი, ქმარი დაუპატიმრებია, ცოლი კი თავისთვის წაუყვანია. ამ ამბავმა სომხობა ააშფოთა. გუბერნატორის სახლის წინ დიდძალი სომხობა მოგროვდა და მოითხოვა ფატულა-ბეისა და მისი საყვარლის ხელში მიცემა.

# რუსეთი

✦ **ფინლიანდიის საქმე.** „რუსკ. ვ. დ.“ სიტყვით პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს ლანგოფისთვის (ლანგოფი ფინლიანდიის საქმეების მინისტრია) უთქვამს, ვიბორგის გუბერნიას აღარ გამოეყოფა ფინლიანდიასო. გაზეთის სიტყვით მთავრობა ფინლიანდიასთან მეგობრულ განწყობილების დაცვასაპირებს და აღარ მიმართავს აგრესიულ ზომებს.

✦ **ოქტომბრისტები და დუმბაძე.** როგორც სჩანს დუმბაძეს საქმე ცუდად არის. როგორც მკითხველს მოეხსენება მინისტრთა საბჭოს წევრების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ გენერალი დუმბაძე სამსახურიდან უნდა დავითხოვოთო. ამავე აზრისანი ყოფილან ოქტომბრისტები. სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციას გადაუწყვეტია ითხოვოს დუმბაძეს გადაყენება და თუ ეს არ მოხერხდა, სათათბიროში დუმბაძეს შესახებ შეკითხვის განხილვის დროს, ისე დააყენოს საქმე, რომ დუმბაძე დაითხოვონო. ყველაფერი ეს კი გენერალმა დუმბაძემ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ გამო მიიღო. დუმბაძე „კავშირის“ იალტის განყოფილების საპატიო თავჯდომარე ბრძანდება და ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორ ბეკმანს ამ განყოფილების სახელით დეპეშა გაუგზავნა, „კავშირს“ იცავ, მადლობას გიძღვნით და სხვაო.

✦ **თვით-მკვლელობა.** „გოლ. მოსკ.“ ქალაქ ვლადიმირიდან (საგუბერნიო) შემდეგ სამწუხარო ამბავს ატყობინებენ: ამ დღეებში აქ თავი მოიკლეს ვაჟთა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე შესტერნიკოვმა და ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე პეტროვისამ. საქმე ამნაირად იყო: შესტერნიკოვს და პეტროვისას ერთმანეთი ჰყვარებიათ. ამ დღეებში შესტერნიკოვი გიმნაზიის პანსიონიდან დაითხოვეს. შესტერნიკოვი პანსიონში სახაზინო ხარჯზე იზრდებოდა, ობოლი იყო, ჰყვანდა მარტო ქვრივი დედა. პანსიონიდან დათხოვნა სასწავლებლიდან დათხოვნას უდრიდა. ამან შესტერნიკოვზე ისეთი გავლენა იქონია რომ თავის მოკვლა გადასწყვიტა და თავის სონას (პეტროვა) თავისაც ურჩევია „თუ გიყვარვარ, შენც თავი უნდა მოიკლაო“. სონია დასთანხმებულა. შესტერნიკოვს თავის ხელით მოუკლავს „თავის სონია“ და შემდეგ თვითონ მოუკლავს თავი.

# წერილი რედ. მიმართ

„დროების“ მე-202 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ხონიდან ბ-ნ ფასკუნჯისა. კორესპონდენტის სიტყვით, მე, ალექსანდრე მაჭარაძემ, შეკნებით ცნობილმა (მისივე სიტყვებია), გავხსენი წიგნის მაღაზია, წიგნები, სხვებთან შედარებით, იაფად გავყიდე და ამით ვითომ კონკურენცია გავუწიე წ. კ. საზ. განყოფილების ხონის წიგნის მაღაზიას. საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენი! წ. კ. გ. საზ. განყოფილებას ხონში წიგნის მაღაზია არა აქვს, მაშასადამე, არ მესმის, არ არსებულ მაღაზიისთვის რა ქიშპობა უნდა გამეწია!

**ალექსანდრე მაჭარაძე.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის „დროების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ბ-ნ ფილიპე გოგიჩაიშვილს, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო მუხურის საზოგადოებაში (შორაპნის მაზრა) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სახელობაზე უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დაარსების საქმეში და რომელმაც ამ წიგნთ საცავ-სამკითხველოს შემოსწირა ხუთი თუმნის სხვა და სხვა წიგნი. დიდ მადლობას უცხადებთ აგრეთვე მღ. სიმონ მჭედლიძეს, რომელმაც წიგნთ-საცავ სამკითხველოს შემოსწირა თავის ჟურნალის „შინაური საქმეების“ ერთი წლის ნომრები. მადლობას უცხადებთ ბ-ნთ მიხეილ კბილაძეს, ა. სტარიკოვსკის, ს. ყუფარაძეს, ალექსანდრე და თომა ჩიქვილაძეებს, ლადიმერ ბოჭორიშვილს, ირაკლი ბარბაქაძეს, ვარდენ კალანდაძეს, ივ. აბესაძეს, სამუელ ჯიხვუაშვილს, იოსებ კორტს და ქ. ქ. ეკატერინე როსების ასულს და ბარბარე ტატუას ასულ გაბრიჭიძეებისას, რომელთაც შემოგვწირეს ქართველ და რუს ავტორთა სხვა და სხვა თხზულება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ახლო მახლოში ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო ერთად ერთია და მკითხველიც ბევრი ჰყავს, მეტადრე მოზარდი თაობა, მაგრამ საქმეს ის გვიჭირებს, რომ საყოფი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჯერ კიდევ არა გვაქვს. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ დაწესებულებას და შემოსწირავს ნახმარ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. ამასთან მივმართავთ ჟურნალ გაზეთების რედაქციებსაც და ვთხოვთ მათაც დაგვითმონ უფასოდ თითო ნუმერი თავიანთ გამოცემისა.

შემოწირულება გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: С. Ткибули. Емануилу Габричидзе, для мухурской библіотеки-читальни.

პასუხის მგებელი გამგე მუხურის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსი **არისტოტელ გაბრიჭიძე.**

დროებით მმართველი **მანოელ გაბრიჭიძე.**

# მატარებლების მიმოსვლა
## (18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს, (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—სააგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). სააგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/4}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—194)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ. ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.
**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.
**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2
**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^{1/2}$ ს.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.
**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა. ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის წრატით. (00—6.—104

# გადასდეთ 2 მანეთი

**—✦✦◀ მოიგებთ 2500 მანეთს ▶✦✦—**

გამოგზავნეთ ორი მანეთი და უფლება გექნებათ ¼ ბილეთზე მთავრობის მე-193 ლატარიის მე-4 კლასის ტირაჟის დროს. მოგების ტირაჟი მოხდება 28 და 29 ოქტომბერს და რადგან მსურველი ბევრია, ამიტომ გირჩევთ დააჩქაროთ ფულის გამოგზავნა. ფულის მიღებისათანავე გამოგეგზავნებათ დაწესებული მოწმობა, იმ ნომრის აღნიშვნით, რომლითაც მონაწილეობას იღებთ. ტირაჟის შემდეგ მონაწილეთ დაეგზავნებათ ოფიციალური ცხრილი მოგებისა. მოგებებს დეპეშით ეცნობება და ფულიც ადრესის თანახმად გაეგზავნება. მსურველთ ვთხოვ მომმართონ ამ ადრესით: Въ контору В. А. Френзель, Варшава, Красинская пл. N 2. დეპეშის ადრესი: Варшава, Френзель, Красинская N 2. მთელი ბილეთისთვის საჭიროა 8 მან. (მოგება 10,000 მან.;) ნახევარ ბილეთისთვის—4 მან. (მოგება 5000 მან.). (2—6.—2)




# ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—79)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. ეპლაძე.